

საქართველოს კანონი

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს (პარლამენტის უწყებანი, 1-2(33-34/7), 22 იანვარი, 1997, გვ.24) კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის “ზ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) **"საქმიანობა"** – გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა.

2. მე-4 მუხლის “ტ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) **"სამინისტრო"** – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;“

3. მე-4 მუხლის “ფ” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.“

5. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით სამინისტრო ყოველ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ.“

6. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ეკომარკას ანიჭებს სამინისტროსთან არსებული ეკომარკირების საუწყებოთაშორისო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა დაინტერესებული უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.“

7. VI თავი ამოღებულ იქნეს;

8. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სახელმწიფო აღრიცხვას, ანგარიშგებას და შეფასებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

9. 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები განისაზღვრება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ დებულებით "გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების შესახებ", რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით.“

10. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმებს (მათ შორის მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) და ამ ქიმიურ საშუალებათა (ნივთიერებათა) ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესებს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ შეიმუშავენ და ამტკიცებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დებულებით "გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმებისა და ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.“

11. 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გარემოზე დატვირთვის ნორმებს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დებულებით "გარემოზე დატვირთვის ნორმების შესახებ“.

12. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკვებ პროდუქტებში ქიმიურ ნივთიერებათა რაოდენობის ზღვრულად დასაშვები ნორმები დგინდება ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო მინიმალური დოზის დონეზე და მას ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დებულებით "საკვებ პროდუქტებში ქიმიურ ნივთიერებათა რაოდენობის ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ“.

13. 35-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 35. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

1. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისა და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესს ადგენს საქართველოს კანონი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

14. 36-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;

15. 37-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემამდე სავალდებულოა ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება.“

16. 38-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი